პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 30 აგვისტო 1925 წ.

# ტარტაროზი

№ 16—(19) გაზ. „მუშა"-ს ორკვირეული უფასო დამატება. № 16—19)

## ქორწინება




— [illegible] ღმერთო ჩვენდა.

(იხ. მეორე გვერდი).

# ქორწინება

— ალლო!
— ალლო!
— ალლო!

— ლონდონი.
— პარიზი.
— რომი.

— ჩემბერლენი.
— პენლევე.
— მუსოლინი.

**ჩემბერლენი.** ეს მეორე ინტერნაციონალი თუ რაღაც სალაყბო, თუმცაღა არც ისე საშიშოა, როგორც მისი სახელწოდებით ეგონება კაცს, მაგრამ გლახა ძაღლივით მაინც აყეფდება მაშინ, როცა თავში მოხვდება...

კარგი იქნებოდა, რომ დაგვეშოყვნებია; ყოველ შემთხვევაში, დაცვის ნახევ სამსახურის გაწევა კი შეუძლია.

**პენლევე.** ფულებს კი ვაძლევთ და მეტი რა უნდათ. კარკაი მათი მთლად დაჩუმება, მაგრამ დამოყვრება როგორ შეიძლება—სირცხვილია.

**მუსოლინი.** მაგათი დამოყვრება მე ვიცი, როგორც უნდა... ეს სულ თქვენი ბრალია, რომ ხანდახან აფაფხურდებიან. თქვენ გაათამამეთ—სრულ ხარჯზე აგიყვანიათ და არჩენთ.

**ჩემბერლენი.** ეს არაფერია. ჩვენ ამაოდ არავის ვაჭმევთ ლუკმას. სჯობია მათი დამოყვრება.

აი უვარგისი და ბებრუხანა გაუთხოვარი ერთა ლიგა რომ დაგვიბერდა—მივათხოვოთ მეორე ინტერნაციონალს.

**მუსოლინი.** კარგი დაგემართოს—კარგი სიძე გვეყოლება.

**პენლევე.** ერთი ჩვენიც ნახე რა ბარაქა არის! მისი სიმძიმე ოქრო და ერთი ახალშენი რომ მისცე მზითვად, ხელს მაინც არავინ ახლებს. ეს ხალხი კი უარს არ ამბობს ბედი კარზე მოგვადგა და ხელს ნუ ვკრავთ, როდის-ღა ჯანდაბაში უნდა გავათხოვოთ აბა!?

**ჩემბერლენი.** მუსოლინს ჰგონია—ყველა საქმეს მუშტით გაიტანს.

**მუსოლინი.** რაკი მასეა საქმე, ბარემ მალე მოხდეს. მართლაც მეორე ინტერნაციონალმა თუ გაასაღა, თორემ რაც ხანია მალე აბარგდება მთლად ამ ქვეყნიდან.

ისე ერთმანეთის შესადარიც არიან.
ფერი ფერსა—მადლი ღმერთსა.

— მაშ ქორწილია?
— ქორწილია.
— ქორწილია.

**ყველა სოციალისტურ პარტიებს, რომლებიც შედიან მეორე ინტერნაციონალში.**

## ქ ო რ წ ი ნ ე ბ ა

კვირას, 23 აგვისტოს, 1925 წელს ქალ. მარსელში გვაქვს გათხოვებითი ქორწინება ასულისა ჩვენისა **ერთა ლიგასი**, რომელიც მოთხოვილია **მენშევიკ სოციალ-დემოკრატის ძე მეორე ინტერნაციონალისადმი**

გაუწყებთ რა ამას, გავალებთ: მოხვიდეთ და მოგვილხინოთ ტკბილი ჰანგებით, რომლებიც მიაძინებს მსოფლიო მუშათა მოძრაობას და ამით დაამშვიდებთ ჩვენს აფორიაქებულ ცხოვრებას და აგრეთვე თქვენი სამსახურით პატივი სცეთ თავსა ჩვენსა, რისთვისაც დაშთებით ჩვენგან დიდათ პატივცემულნი და დავალებულნი.

**კაპიტალი.**

---

# მაკლერების სამეფო

**ისტორიული ტრაგედია 5 მოქმედებად**

## მოქმედნი პირნი

1. **მიხო ჩოხიანი**—მაკლერების სამეფოს სულთანი. ყოფილი აზნაური, თუ თავადი და ერთს დროს არსებულ ცენტრალურის დარაჯი.
2. **ინჟენერი ტარაკან** — უდანაშაულო მსხვერპლი მაკლერთა.
3. **ხირინ-ხირინა**—მაკლერთა სულთანის შინაგან საქმეთა მინისტრი.
4. **მელიქ-ქიქოვა**—მაკლერთა მეფის საგარეო საქ. მინისტრი.
5. **ელენ-ბურუნ**—მაკლერთა მეფის ფინანსთა მინისტრი.
6. **ივანოვა**—მაკლ. მეფის განათლების მინისტრი.
7. **თედო გრიბოედოველი**—მაკლ. მეფის საიდუმლო განყოფილების მინისტრი.
8. **ჟან-ჟინრო**—მაკ. მეფის სახლთაკებულების მინისტრი. (სპეცი)
9. **გენერალ ბალლინჯო**—სამხედრო მინისტრი.
10. **მარია პავლოვნა**—ერევნის მოედნის უსტაბაშთა მინისტრი, პირველი ორატორი.

ყოფილი გენერლები, სამხედრო ჩინები, გენერალშები, კნიაგინები, ბარონესები, ძაღლები, კატები, თაგვები, მოძრავი სახლები, მობაასე ოთახები, კარები, ნეხვები, მილიციელები და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბუზებიც კი ემორჩილებიან მაკლერებს თავიანთ გენიალურ აღმოჩენებში. გადაფრინდებიან ოთახიდან-ოთახში და იგებენ, თუ სად როგორი ბინა ქირავდება.

მოქმედება წარმოებს 1925 წლის უხსოვარ დროში; მაკლერთა სატახტო ქალაქ ტიფილისში, სახელდობრ: ქუჩებში, სახლებში, შესახვევებში, დუქნებში, ტრამვაებში და საერთოთ ყველგან.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ზოგი ინტელიგენტი და სტუდენტობაც კი ეწერებიან ყოვლად ძლიერ მაკლერთა სულთანის ქვეშევრდომებად. სამაგიეროდ ღებულობენ „ატსტუპნოიდან“ ცხელ-ცხელ პროცენტებს და სხვადასხვა საჩუქრებს. ერთი მილიციელიც კი აქირავებს ამჟამად ოთახს ფეოდოსის ქუჩაზე, თუ ხუთი თუმანი უთავაზა ვინმემ.

### მ ო ქ მ ე დ ე ბ ა I

სცენა წარმოადგენს სულთან მიხოს მუდმივ რეზიდენციას,—ფეოდოსის ქუჩის ეკლესიასთან. ერთი მხრით მოჩანს მელიქ-აზარიანცის შენობა, მეორე მხრით ღვინო „ხვანჭკარას“ სარდაფი, მესამე მხრით ეკლესია და სულთან მიხოს სრა-სასახლის შესახევი. ტროტუარი წარმოადგენს მიხოს სატახტო სავარძელს. დილის 7 საათია. სულთანი უჩვეულოდ ადრე დგება, რომ მოასწროს ყველა რწმუნებულთა დათვალიერება 7 საათამდე. საზოგადოება გულის ფანცქალით მოელის მრისხანე სულთანის გამოცხადებას. აქ ნახავ ყველა წოდების ხალხს: მოსამსახურეს, პასუხისმგებელ მომუშავეს, უმუშევარს, ვაჭარს, პოეტს, ინჟინერს და სხვადასხვას. საათი დარეკავს შვიდს. გამოჩნდება უშველებელი, ბელადი და არშინიანი ხევრიანი სულთანი მიხო ჩოხიანი. ის ხანჯალს არასოდეს არ იშორებს, რადგან მის სამეფოს ბევრი მტერი ყავს. მიდის დინჯათ, არხეინად, თითქოს ფეხებზე ეკიდოს მთელი ტიფლისი თავის შენობებით.

პირში ურჭვია უშველებელი, მამა პაპური ყალიონი, რომელსაც აბოლებს ხამუშხამუშ. დინჯად ჩამოჯდება სამეფო ტროტუარზე. ყველა გაშეშებული დგანან მეფის რისხვის მოლოდინში. ყველაზე მეტს ძაგძაგებს საბრალო პოეტი, რომელსაც ილლიაში ამოუდვია რამოდენიმე ხნით ნაგროვი ჩერვონეცი და ელის, თუ როდის აღარსებს მეფეთ-მეფე მიხო ერთს ხავსიანს ოთახს.

**ყველანი** (თაყვანისცემით)

მშვიდობა და კურთხევა, მეფეთ-მეფეო და მპყრობელო მთელ ტიფლისის ბინათა!

**მ ი ხ ო** (მკაცრად)

რა გინდათ? რას როშავთ? (ყალიონს პოეტს პირდაპირ ცხვირში მოაბოლებს. პოეტი უკან დაიხევს).

# „სახელობის დღე“



**იოსები.** (მარიამს) შენი სახელობის დღეა და მიიღე ჩემს განუსაღვრელ სიყვარულთან ერთად ეს მცირე ძღვენი.

ქურსეს კაბის და ლორიგანის ყიდვა მინდოდა, მაგრამ სალდათის ბაზარზე მხოლოდ ერთი მაგიდა გავყიდე და ისიც ერთ ჩერვონეცათ.

ეს შოკოლადი კაციტაძის საკონდიტერო „ლონდონში“ ვიყიდე და ეს თაიგულიც იქვე ახლოს—ყვავილების მაღაზია „ფლორენცია“-ში.

**I მთხოვნელი** (სხვებზე უფრო ფულიანი)

ჰოი, მეფეთ-მეფეო, მიხო! დიდია ჯავრი თავსა ჩვენსა! არ გვაქვთ ოთახნი, რამეთუ შევაფაროთ მუნ დაობლებულნი გოგრანი ჩვენი. არ დავზოგავთ ფულებს, გადვიხადოთ ასობით ატსტუპნოის, ოღონდ გვიშოვეთ ჩვენ ოთახნი კარგნი და ახოვანნი.

**ვ ა ჭ ა რ ი** (ღრეჭით და ქურდულად)

თუმცაღა თანამედროვე ხანამ ჯვარებს ტყავი გაგვაძრო და იქიდან გლეხებს ქალაჩნებზი შეუკერა, მაგრამ მაინც დაგვრჩენია იმდენი, რომ გავათრიოთ ეს ცხოვრება. მიიღეთ ჩვენგან ფეშქაში დიდი, ოღონდ გვიშოვე როგორმე ოთახი. ღიპის შადლსა ვფიცავარ, რომ მთელი ვაჭრები თქვენს ჩექმებზე ვართ, თქვენო ბრწყინვალებავ!

**მ ი ხ ო** (ყალიონში ჩაიღიმებს)

ჰმ! დალშე რეშიმ! (მიხომ რუსულიც იცის).

**ს ტ უ დ ე ნ ტ ი**

ვაშე სიატელსტვო, სულთან მიხო! გავათავებ თუ არა საექიმოს, სულ თქვენს აქიმობაში გავატარებ ცხოვრებას. მამა ზორბად გიგზავნის სოფლიდან ფულს და თუმცაღა გარეგნობა სიმდიდრეს არ მიმტკიცებს, ვსიოჟე, მდიდარი ვარ! ეტო, ტოლკო ნაროჩნო.

**მ ი ხ ო** (ღიმილით)

ჰმ! დალშე!

**ინჟენერ** (გარეგნობით რუსი)

ჯამაგირ პარიადოჩნა პალუჩაიმ, ნო, ტოვარიჩ, მიხო... ო, ია იზვინიაუს! ვაშე ველიჩესტვო, მიხო! ია მაგუ პლატიტ ბალშოი სუმმუ! ტუდა-სუდა... ი დენგი უჟე ესტ!..

**მ ი ხ ო** (ნახევარ წყრომით)

ჰმ: შტო ზნაჩით, ტოვარიჩ!.. დალშე!

**ხ ო მ ე ხ ი**

ვა, მიხო'ს კი ენაცვალოს ჩემი სირაჩხანა, დაშახანა და მთელი ქვეყანა. ადინ ქომნათ ტოლკა ხუტილ, მენე ეს ე ნა, დიტი ი ეშჩო ოდის სობაქა იზ ვაშის პაროდა.

**მ ი ხ ო** (ბრაზიანათ)

შტო?

**ხ ო მ ე ხ ი**

ია, იზვინიაიტ სდელაიტ ბოლჯან, მიხო! ნე ვაში პაროდა, ა ცარსკი პაროდა... და ნასტაიაჩი ბალშოი მორდა, კაკ ცარ ნიკოლაი იმელ! დენგი?! ვა, სკოლკა დუშა ტვოი ჟელაიტ! მტკვარი, კასპისკი მორე ადინ მინუტ პერეპოლნით სდელაიტ.

**მ ი ხ ო**

ჰმ. ველიკოლეპნო! დალშე!

**თ ა თ ა რ ი**

ალახ და გედერუმ მიხო-ალა! სულთანუმ ტიფლისუმ ი გოლოვა ვსეხ ბაშკა. ბირ გოდა, ინ უჩ გოდა ნა ტვაი კალენა უმირაი მოჟნა, თოლქო ადინ ფუსთი ქომნათა დავაი! ვზამენა სკოლკო ხოტელა ქომმიშლაბლაბო ვაზმიი სდელაი. დენღი მნოღა, ოჩენ მნოღ დაიუმ, თოლქა ფუსქაი ხაზიაიკა ტოლსტი ი მოლადოი ჟენჩანა ბუდით! ადინ უხაჟივაი სდელიმ, ი დელო უსტროიმ... პატომ მალენკი სინ ბუდიტ, ი ტი კრესტალ ბუდიშ!

**მ ი ხ ო**

ჰმ! დალშე!

**გ უ რ უ ლ ი**

იმე! ხელწიფე მიხოს კი ენაცვალოს მთელი სუფსა თავის ნატანებიან-ოზურგეთიანად. იმდენი გოჭები და ინდოურები მოგირეკო ჩემი სუფსიდან, რომ ტფილის ნასტუპლენია უქონ, ოცდა ოთხ საათში აილონ! რაც კი რამ გაბადია, ჩემო სულის კლაპატონო, ანაგებად სულ შენი შესაწირავი იყოს, ჩემო ბატონო. ყველაფერს შენ გადმოგიყრი, ჩემო მიხუნა, ოღონდ ერთი ოთახი კი მიშოვე სადმე. დედა, რევა გედევირევი საწყალი კაცი.

**მ ი ხ ო**

ჰმ! დალშე! დრო მიდის.

**ე ბ რ ა ე ლ ი**

ზრასტი ვაში, მიხო! ვადაი, ნეტავი მთელი კულიაში თან წამომელო, რომ შენი დიდებული ჩიბუხი ენახა: ისე აბრაამი გწყალობდეს, როგორც ცხელი ასიანი ჩაგიგორო მაგ ძვირფას კალთაში. ვადაი, რჯულის მადლმა, ერთი ოთახი მინდა მხოლოდ, ერთი.

**მ ი ხ ო**

ჰმ! დალშე! (საათს უყურებს, რომელიც მოსჩანს ფოსტიდან).

**მ ე გ რ ე ლ ი**

უი, სქანი ჰარი კი შეეყარა ჩემს თავს პატენი! აი, რო ჩავალ აბაშაში, იმდენს ფულს მოვკრიფავ, ჩემო პატენო, რუმე მთელი ქართი ვიყიდო აით დღეში. ბევრი კი არ მინდა ოთახი; კაკალი ერთი მინდა, კაკალი ერთი. ისე შეეწიოს ღმერთი შენს ახალუხსაც და ჰალარასაც. აბა, აბაშაშიაც კი მაქვს ერთი სახლი, პოეზიაზე ახლოს, მარა რა ეშმაკათ მინდა, როცა აბაშაში ფული არ ყრია.

აქ ერთხელ ჩამოვრიხინდა ქალადიდიდან ერთი ცილბიდან თვალებდასიებული მეგრელი, და ისე ღმერთი შენ შეგეწიოს, როგორც ის გამოჭიმულია შვიდ ოთახში, სტანციასთან ახლოს. ფულის ბუდეა ქართი. ენაცვალოს მას მთელი მეგრელია ფოთიან-ქვალონიანათ! აქ მეგრელი რომ ჩამოვა, ისე როგორ წავა, რომ ხურჯინით არ წააკვარაჭინოს ცოლოფურში ცხელი ათასიანები. აბა მიხო, შენ იცი და შენმა ულამშა, სამაგიეროთ სამეგრელოში რომ ჩამოხვალ, ისე გამოგაწკვეპინო, რომ აფხაზმა დაგინახოს, თვალი მუცელში ჩაუვარდეს. შენ ნურაფრის გეშინია; აი, უგალოვნში თუ მივედი, იქ ყველა მეგრელებია და თუ დამაკლდა, მაშინვე დამეხმარებიან.

**მიხო**

ჰმ! ესეც კარგია. დალშე.

**დანარჩენები**

ერთი სიტყვით ყველას ოთახები გვინდა. ფული ბევრი გვაქვს! ყველაფერი წაიღეთ

**უმუშევარი**

მეც კი მიგდია ერთი მანეთიანი ჯიბეში.

**პოეტი**

მეც კი მაქვს ერთი ჩერვონეცი.

**მიხო**

სულ რამდენი ხართ!?

**ყველა**

ვიქნებით ასე, ათას კაცამდე.

**პოეტი** (უმუშევარს)

ეხ, ძმაო, ცუდათაა ჩვენი ჩაქმე: ჩვენი ფულებით ვერასოდეს ვერ ვიშოვით ოთახს ისევ სჯობია მივხვიოთ სადმე... (მიდიან)

**მიხო** (შეამჩნევს მათ)

ვა კუდა, მალადიე ლუდი.

**პოეტი** (პოეტურათ)

აბა თუ გასჭრი, ეხლა გასჭრი, ჩემო პოეზიავ! (მიხოს) ო, დიდო მეფეო და მფარველო მწუხარე სულთა! მადლი პოეზიისა თქვენზედა! ჩვენი ტანჯვა ისე დიდია, რომ ცხვირიდან ცინგლი გადმოგვდის კელეპტარივით.

ოთახი გვინდა! გვინდა ოთახი ისე, როგორც ნაზ ქალწულს სამოთხის ბაღი. (უმუშევარს) ჩავაპოეტე, ბიჭო. (მიხოს) აი ეს ჩერვონეცი და ეს ერთი მანეთიც, ქმათა საარულისგან და ჩუმ ცრემლებისგან დაცვრეცილი... მეტი არარა გვაბადია. დაგიწერდით ლექსებს, პოემებს, ლეგენდებს, ჩამოგიდნობდით ხელოვნების ცეცხლში... ოლონდ...

**მიხო** (ისეთს გადიხარხარებს, რომ პოეტი შეკრთება).

ხა! ხა! ხა! პოეტი! პოეტი! პოეტი და ჩერვონეცი! შორს აქედან უკანონო შვილნო ტიფლისისა! მე მინდა ფულები, ბევრი ფულები! რა არის ჩერვონეცი? ჰეი ბიჭებო, როზგები მაგ წუნკალს.

ამის გაგონებაზე პოეტმა მოკურცხლა. სახლები, ტრამვაები, ავტომობილები ისე გადაარბინა, რომ ვერავითარი ცეპელინი ვერ დაეწევდა. კიდევ კარგი, რომ ვიღაც

# ძმა ძმისთვის

„ინგლისის მეფემ დაათვალიერა ბაღი, სადაც ყველაზე უფრო მოეწონა მაიმუნები“-



მ ე ფ ე

თუ ბრაიანი გავიწროებდათ
და იყო თქვენთვის ის მეტათ ავი
—სამაგიეროდ თქვენ შემოგევლოს
ინგლისის მეფის ერთგული თავი.

მიყვარხართ ისე, როგორ შვილები,
(ირლანდიელზე ხომ უფრო მეტად).
ბრძანებას გავცემ—და აქ ცხოვრება
გადაგექცევათ თქვენ ტკბილ კამფეტად.

ქალმა შეაკავა ძლივს-ძლივობით, თორემ შუა მტკვარში გადავარდებოდა. ქალს გვერდით მიჰყვებოდა ვიღაც ინჟინერი და რაღაც გაუგებარ ენაზე ბაასობდენ. პოეტმა ამოისუნთქა, იტაცა ხელი ჯიბისკენ და რა დარწმუნდა, რომ ჩერვონეცი შერჩენოდა, ერთი ვირივით დაიყროყინა და მას ხელზე ემთხვია. გამოძიების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს მხსნელი ქალი ყოფილიყო სულთან მიხოს შინაგან საქმეთა მინისტრი: მადამ ხირონ ხირინა. აგრეთვე აღმოჩდა, რომ ეს ქალი ყოფილა ტაინი საბინაო პოლიტიკის იურის კონსულტი და პრემიერ მკერვალი ქრთამიზაციის. მადამ ხირინამ ფუალის ქვეშ გადმოხედა პოეტს და დასწვა იგი. წყალიც კი უყიდა შაურად და შემდეგ დაუწყო ბაასი.

**ხირინა**

ბედნი მალჩიკ! ჩუთ ნე უპალ ვ კურუ! ნეუჟელი ტაკოი პაჟარ ვტვოი დუშე?

**პოეტი**

ო, დედაჯან! ნე ტოლკო პაჟარ, ნო ია კიპეტ კაკ მაჭარ! მიხო სმეიოტსია; ოთახი ნე დაიოტ!

**ხირინა**

ახ! ბოლშე ნიჩეო? ველიკალეპნო.

**პოეტი**

ბოლშე რა, ეშმაკის ფეხები უნდა იყოს, მადამ! კომნატ ხოჩუ! ჩერვონეც ესტ! ა მიხო დამცინის. ვაშ სულთან კაჟეტსია კაპრიზნ ბარინ! ნენავიდიტ პოეტოვ, იმიტომ, რომ უ ნიხ ფული მალო! მოი ჩერვონეც კი ნალდი ჩერვონეცია. ნესკოლკო მესიაც ნაზად გაზეთში რაღაც გავიმასქენი და იქიდან გროშები გამოვიმასქენი.

**ხირინა**

სლავნი პარენ! პაკაჟი, კაკოი ზაპახი იმეეტ ტვოი ჩერვონეცი.

**პოეტი**

ვა, ზაპახ ტაკოი იმეეტ დუშკა მადამ, კაკ დამცკი ლორიგან. ნასტაიაჩი ჩერვო-

# შ ა ვ ი დ ღ ი ს თ ვ ი ს

„მეფემ ბრძანება გასცა, რათა მაიმუნებს კარგად მოუარონ და კარგი საჭმელ-სასმელი მისცენ"
„ირლანდიაში დიდი სიმშილობაა. ინგლისის მთავრობა მაინცდამაინც თავს არ იწუხებს"
გაზეთებიდან.



**მ ა ი მ უ ნ ი** (ლაქიას)

მოიტა მალე შამპანიური
და საჭმელები სხვადასხვა გვარი;
ასეა თქვენი მეფის ბრძანება,
— მე არაფერზე არ მეთქვას უარი.

თუ იქ სიმშილით იხოცებიან
— ჩვენ მათი დარდი ფეხზე გვკიდია.
წადი, მოიტა უხვათ საჭმელი—
ჭამის მადა მაქვს მეტად დიდია.

---

ნეც, ტი დუმაიშ ფარშავი ჩტოლი? ნალ დია მეთქი, ნალდი (აძლევს).

**ხ ი რ ი ნ ა** (რომელმაც ზოგჯერ ქართული იცის)

კარგი ფულია! შენ ფოეთი ხარ! მე ფოეთი ოჩენ მიყვარს. ქარგი ბიჩი ფოეთი! ეტო ჩერვონეც მე მომე! ოთახი ზავტრა ეე გიშოვი... ხაროში ოთახი...

**პ ო ე ტ ი**

ვა ტოტეჯან! გენაცვალე მაგ ვარაყიან ქართულში! ოღონდ ოთახი იყოს და შენი ვეზირი გავხდები.

**ხ ი რ ი ნ ა**

ტოლკო პომნი, ჩტო პროცენტები უნდა გადაიხადო, მალო, ოჩენ მალო, კაჟდი ვეჩერ ზაიდიოშ ი ადინ რუბლ ზანესიოშ!

**პ ო ე ტ ი**

ვახ, ეს რაღა რასჩოტია!

**ხ ი რ ი ნ ა**

პატამუ ჩტო, კომნატა სტოიტ 30 მანეთი ვ მესიაც და ეშჩო ატსტუპნოი ნუჟნო 50 რუბლეი.

**პ ო ე ტ ი**

ვახ, ამას ხომ მე ვერასოდეს ვერ გადვიხდი?

გიჟია ეს ოხერი? დავაი აბრატნო მოი ჩარვონეც.

**ხ ი რ ი ნ ა**

მოიცა, პაჩემუ სერდიშ! პოეტ ნიკოგდა ნე მოჟეტ სრაზომ 80 მანეთის გადახდა, პატამუ კაჟდი ვეჩერ ადინ მანეთი პრინესი ი კომნატა ბუდეტ ჩერეზ ადინ გოდ! პანიმაიშ!

**პ ო ე ტ ი**

ჩერეზ ადინ გოდ! რას როშავს ეს დედაკაცი. კისერზე მოგაჯდე თუ?

**ხ ი რ ი ნ ა**

ნეტ! ზაჩემ ნა კისერი დაჯდომა?

**პ ო ე ტ ი**

ვერ გამიგია! მაგრამ ეტყობა, რომ გრძნობიერი ქალია. მიმიხვდა ალბათ, თორემ რა აწუხებდა, რომ ჩემთვის დახმარება აღმოეჩინა. ხარაშო, მადამ, საგლასენ, გინდ ქარიტ მიქენი, გინდა ვარიტ! შაია გოლოლვა უ ნოკ ტკოია (კოცნის).

**ხ ი რ ი ნ ა**

დავოლნო, სტიდნო! კტო ნიბუდ უხაჟივაიმ პადუმაიტ. ვოტ ეტოტ ინჟენერ ტოჟე ბუდეტ პროცენტი პლატიტ! ტოლკო ნე რუბლ, ა დესიატ რუბლეი კაჟდი ვეჩერ. პაკა ნახკამდის. ზავტრა ვეჩერომ ზახადი. რუბლ ნე ზაბივაი (ამ სიტყვებით ინჟენერთან ჩაჯდება მეორე ნომერ ტრამვაიში).

**პ ო ე ტ ი**

Iჩასტლივი დაროგა ვაშიმ მაკარონსკიმ ნაგამ! (ტრამვაი დაიძვრის, პოეტს უცებ რაღაც მოაგონდება და წივილ-კივილით ტრამვაის გაეკიდება), ვაიმე თავო დალუპულო! მადამ, პავრემენი! ადრეს დავაი, ადრეს! ბეზ ადრესა კაკ ნაიდუ!

**ხ ი რ ი ნ ა** (ტრამვაიდან იცინის)

**პ ო ე ტ ი**

მადამ, მადამ! საშგლე მადამ! შენ გაგიწყრა ევა და ადამ! სად მიდიხარ! ადრეს, ადრეს! (ვატმანს შეეფეთება)

**ვ ა ტ მ ა ნ ი**

უხადი კ ჩორტუ, შტო ტი არიოშ?

**ხირინა** (მილიციონერს)

დერჟიტე ეგო! ონ სუმაშედში! მენია უბიტ ხოჩეტ! (მილიციონერი დაიჭერს პოეტს და მიათრევს).

**პ ო ე ტ ი**

მე შენ გიჩვენებ ვინ არის სუმაშედში? სუმაშედში კი არა საშარეში დავაქცევ კაპლობით შენს სისხლს. შენ გგონია ჩერვონეცს შეგარჩენ? ეს ჩერვონეცი მუზის ოფლშია გამოწურული.

ვაი, სულელო ჩემო გოგრა! ვაი, ამდენი ხნით შენახულო ჩერვონეცო!

ცირხალა გოხხაპა.



# „ღმერთის მარჯვნით"

რად არ გებრალება
ჩიბათო როსტომი
მარტოდ ხელში ჯოხით
საყდრის კართან მჯდომი?

ან შენ, მამა მოსე,
რომ დაჰხტი ვით შველი?
ან თქვენ, ქრისტევ, ღმერთო,
როსტომს რად არ შველით?

რომ დაიხსნათ იგი
„კბილისაგან მგელის",
წაიყვანოთ ადრე,
ყოველ წუთში გელის...

უნდა გადავიდეს
მეორე ქვეყანას,
სადაც მუშაობა
არ სჭირდება ყანას.

დარდი აქვს და მიტომც
უყვარს ღვინო—და სვამს...
ამბობს:—ღმერთი მარჯვნით
მის მხარეზე დამსვამს.

კვარა-უქმეს საყდრის წინ
იგი მზეზე ცხვება;
ამ დროს მოსე მღვდელი
ქალებში დაძვრება.

უტუ.



# ტეხნიკა და მეცნიერება

ახირებული ხასიათი აქვს ცხოვრებას და მის ისტორიას. ერთს ეპოქაში რაც ფანტასტიურია და მხოლოდ ოცნებაში შეუძლია წარმოიდგინოს ადამიანმა, იგი მეორე ეპოქაში ხორც-შესხმული ჭეშმარიტებაა.

ყველა მეცნიერებს, რომლებმაც გამოსცნეს და დაიპყრეს ბუნების საიდუმლოებანი, შეშლილებს უწოდებდა „ჭკუიანი ხალხი" და მათ აღმოჩენებს-გამოკვლევებს დაჰხარხარობდა.

შეიძლება დღესაც ასე ხდება და მოხდეს, მაგრამ ბოლოს ჭეშმარიტება თავისას გაიტანს.

ავიღოთ მაგალითი.

როცა რუსეთში პირველი რკინის-გზა გაიყვანეს, ყველას ეშინოდა მატარებლით მგზავრობის.

„ხაიფათო მგზავრობა"



სურათი 1.

თურმე მეფემ თავისი კარეტა დაადგმევინა ვაგონზე, (ეს იმიტომ რომ ეშინოდა მატარებლის) ჩაჯდა ვაგონზე დადგმულ კარეტაში—და ასე იმგზავრა პირველად რკინის-გზით. (სურ. 1).

მაგრამ ახლა მატარებლის არა თუ ადამიანს, პირუტყვებსაც და ნადირებსაც აღარ ეშინიათ.

შეხედეთ ჩვენს მატარებლებს (მეტადრე ბორჯომისას) და თქვენ განცვიფრებაში მოხვალთ. ქალი, კაცი, დიდი და პატარა ყველა შეჯდომია ზურგზე, თითქოს უნდათ ამ დემ ვეშაპის ჩაქოლვაო.

სახელურ-საფეხურზე და ბაქნებზე ერთმანეთზე არიან ჩამოკიდებულნი. მიჰქრის მატარებელი და ესენი ამერიკელ კინო-მსახიობებსავით, თითქოს ტრიუკებს აკეთებენო, ერთიდან მეორე ვაგონში გადადიან. (სურ. 2).

მოძრაობის საშუალებათა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინოდ უნდა ჩაითვალოს რკინის-გზა და ზღვაოსნობა. (სურათი 3).

ნურავის ეგონება, რომ როცა ესენი არ იყო, თითქოს, მაშინ მიმოსვლაც არ ყოფილიყოს ქვეყნებს შორის.

ყველა ეპოქას თავისი ტეხნიკა აქვს. უწინ მატარებლების და გემების მაგივრად იყო ურემი და ტივი (სურ. 4).

უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ისეთი გამძლე, ხელსაყრელი და საუკეთესო არის, რომ ძველის-ძველ დროიდან დღემდის დარჩენილა ფართო ხმარებაში და მარადიულადაც დარჩება ჩვენში.

ამათის უპირატესობის ჩამოთვლა მატარებლების და გემების წინაშე, შორს წაგვიყვანდა, მაგრამ ზოგი მაინც უნდა აღინიშნოს.

მატარებელი და გემი უფრო ხიფათიანია, ვიდრე ურემი და ტივი: პირველნი ვერ იმოგზაურებენ ისეთ ადგილებში, სადაც მეორენი, მაშინ როცა ამათ შეუძლიათ იმოგზაურონ პირველების გზით*)

„მშვიდობიანი მგზავრობა"



სურათი 2

„ახალი საშუალება".



სურათი 3.

„მარადიული საშუალება".



სურათი 4.

*) უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: გემს ის უპირატესობა აქვს ტივის წინაშე, რომ მას შეუძლია წყლის მიმდინარეობის წინაამდეგ მიმართულებითაც მოძრაობა, მაშინ როცა მეორეს ეს არ ძალუძს.

ვ.

ამ ბოლო ხანებში გამოგონებები პირდაპირ ეპიდემიურ ხასიათს ღებულობს.

განა ცოტაა უსაქმო მეცნიერები?! რა ენაღვლებათ! ფული არ აკლიათ და ქონება; დაჯდებიან და იგონებენ.

ერთ მეცნიერს ხელოვნურად ოქრო დაუმზადებია სხვა და სხვა ნარევიდან, მაგრამ ეს ოქრო უფრო ძვირი დამჯდარა, ვიდრე ჩვეულებრივი ოქრო ღირს.

ჩვენ ვფიქრობთ: უკეთესი იქნება, რომ აწ მაინც შეწყდებოდეს ახალი გამოგონებები.

ეს კი არა, ტეხნიკის ზოგიერთი მიღწევები უნდა განიდევნოს ხმარებიდან და განადგურდეს, როგორც მავნე რამ.

———

რა საჭიროა ჭამის დროს ჩანგალი? (სურ. 5)

„ფრთხილად ჭამა“.



ს უ რ ა თ ი 5.

ხელები და იმათზე ხუთ-ხუთი თითი (ჩანგალს კი სამი აქვს) იმიტომ მოუცია გაჩენს, რომ ლუკმა ხელით აიღო ჯამიდან და პირში ჩაიდო (სურ. 6).

„თამამად ჭამა“.



ს უ რ ა თ ი 6.

რამდენი მარცხი მომხდარა და კიდევ მოხდება, როცა შეუჩვეველი ადამიანი ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებულია სხვებსავით მანაც იხმაროს ჩანგალი. საბრალო, კურდღელსავით იცქირება და სხვებს ჰბაძავს, არ იმჩნევს თავის „გაუნათლებლობას“, და ამ დავიდარაბაში—ენას ჩანგალზე წამოაცმევს. წარმოიდგინეთ: ვერც აჩხელს თავის გაჭირებას.

მითხარით—რა საჭიროა ეს ჩანგალი! საჭმელი იყოს და ფაფა ორივე ხელებით შევჭამთ.

კარგი, ჩანგალი კიდევ არაფერია, იგი ტარტაროზს მაინც გამოადგება, მაგრამ რისი მაქნისია ეს რაღაც საათია, აღარ ვიცი.

ამბობენ ინგლისური ანდაზაო.—დრო ოქროზე უფრო ძვირფასიაო*).

ეს რომ ასე იყოს (ე. ი. დრო ოქროზე მეტს ფასობდეს), ჩვენი უმუშევრებსავით მდიდარი, რადგან ამათ ბევრი დრო აქვთ დახარჯული შრომის ბირჟაში, ჰარიმანიც ვერ იქნებოდა და შავი-ქვის კონსეცციას ესენი აიღებდენ.

მთელი ქვეყანა რომ დაიაროთ, ვერ ნახავთ სწორს და უტყუარ საათს.

მხოლოდ თბილისში არის ორი ასეთი საათი. ერთი სახალხო კავშირის (რუსთაველის პრ. ბოლოში) და მეორე ნემცების ეკლესიაზე (პლეხანოვის პრ. კიროვის ქუჩასთან).

ეს ორი საათი არასოდეს არ სტყუიან, რადგან ყოველთვის ერთს და იმავე დროს აჩვენებენ.

ალმასკომის საათმა ამ ბოლო დროს მის საბინაო განყოფილებასავით ტყუილები დაიწყო.—ყოველთვის სხვადასხვა დროს გვიჩვენებს.

პატარა (ჯიბის) საათებს ალმასკომის საათზე მმართავენ და სთხოვენ ალმასკომის საათსავით მუშაობას.

გაგონილა ასეთი ულმერთობა! ეს ხდება საბჭოთა რესპუბლიკაში. სად არის შრომის დაცვის ინსპექტორი! ნუთუ ასე ადევნებს თვალყურს ქარხნებში დიდების და პატარების მუშაობას?!.

და თუ ქარხნებში პატარებს ნაკლებს ამუშავებენ, ვიდრე დიდებს, რა დააშავებს პატარა საათებმა, როცა ულმერთო პატრონები ალმასკომის საათის ოდენა მუშაობას სთხოვენ პატარა საათებს და ამით ექსპლოატაციას ახდენენ**).

სრულიადაც არ არიან დანაშაულნი პატარა საათები, როცა ისინი თაღლითობენ და ერთგულად არ მუშაობენ. როგორც კი თვალს მოაშორებენ, ხაშინვე დაისვენებენ; ასე რომ დღედღამეში ექვსი საათის მუშაობის მეტი მაინც არ გამოდის. (ამას დავამტკიცებ ჩემი საათის პრაქტიკიდან).

საათს ხშირად სჭირდება „რემონტი“, ასე რომ მის ღირებულებაზე მეტი ჯდება მისი აქიმობა.

ამ მოსაზრებებიდან თუ გამოვალთ, გამართლებულია ინგლისელების ანდაზა. ალბად დრო იგულისხმება საათად, ხოლო ოქროდ კი მასზე დახარჯული ფული.

კარგი... ხომ ამდენი სახლაფორთოა ეს საათი და რაიმე ხეირს მაინც იძლეოდეს!

მე დარწმუნებული ვარ: რომ საათი არ იყოს, ჩვენს დაწესებულებებ-წარმოებებში მეტი ნაყოფიერი მუშაობა იქნებოდა.

ახლა ყველას უძევს ჯიბეში საათი და ყოველ წუთში შიგ იცქირება, თუ როდის მოვა სახლში წასვლის დრო.

მერე კიდევ, რა ჭკუა აქვს საათს, როცა მისი ისრების წინ და უკან წაწევა ადვილი საქმეა.

ჩვენ ვფიქრობთ—ყველაზე უკეთესი საშუალება დროის გასაზომად და გამოსაცნობად არის მამალი, რომელიც ჩვენს დროში უმთავრესად მხოლოდ სოფელში ასრულებს იმ დანიშნულებას, რასაც ალმასკომის საათი ქალაქში

უნდა ითქვას, რომ მამალი ყოველმხრივ სჯობია საათს. იგი არასოდეს არ მოიტყუილებს, როგორიც ამას ჩვენი საათები სჩადიან. მას არ სჭირია ის დიდი ხარჯები, როგორიც საათს.

ვსთქვათ: სოფლად ხარ და შენმა მატყუარა საათმა დაისვენა, გაფიცვა გამოაცხადა. შენ იძულებული ხარ მამლის ყივილზე მომართო იგი. ამ გვარად საათი მისდაუნებურად დამოკიდებულია მამლის ყივილზე.

---

*) არა მგონია, რომ ეს ინგლისელის ნათქვამი იყოს, რადგან ინგლისელისთვის ოქროზე უფრო უძვირფასესი ქვეყნად არაფერი არ არის. ანდა თუ ასე ფიქრობს, მხოლოდ იმიტომ, რომ განსაზღვრულ დროში მას მეტი ოქრო შეჭმატოს. ამგვარად, მაინც ოქრო არის მისთვის ყველაფერი.

**) გასაკვირველია, როგორ გამოეპარათ ჩვენს მუშკორებს ეს გარემოება და ამის შესახებ წერილი არ მოათავსეს.

ვ.

მამალი არასოდეს არ შესწყვეტს თავისი მოვალეობის ასრულებას, თუ მას კისერი არ წასჭრეს და მისგან ჩახოხბილი არ გააკეთეს.

ჩვენს ყველა სოფლებში საათის მაგივრად მამალს იყენებენ—და, აბა, ნახეთ, თუ როდესმე დაჰგვიანებია გლეხს სამუშაოზე წასვლა, ანდა დილით თავის დროზე ადგომა. ახლა, დილით 9—10 საათზე შეიხედეთ საბჭოთა დაწესებულებებში; ვერ ნახავთ ბევრ მოსამსახურეებს, და თუ შეწუხდებით—მათ სახლში მიხვალთ, ნახავთ, რომ ისინი ლოგინში კოტრიალობენ.

რა სჯობია იმას, როცა სოფელში ყველა მამლები მორთავენ ყივილს, როგორც ქალაქში ქარხნის საყვირები. მამლები მთელ სოფელს აღვიძებენ.

აბა, ახლა ნახეთ, ქალაქში თუ შეუძლია საათებმა მცხოვრებლები გააღვიძონ?!

ტფილისში რამოდენიმე საათი რეკს, მაგრამ მათი რეკა გასაღვიძებლად გამოუსადეგარია, რადგან ყოველ საათზე რეკს*). მამლები კი ხოლოდ ორჯელ იყივლებენ: შუაღამისას და გათენებისას (სურ. 7).

„დროის საზომი“



სურათი 7

თუ გინდ საათები მამლებსავით ორჯელ რეკდენ, მაინც არ გამოგვადგება; იმათ მაინც არ შეუძლიათ არა თუ მცხოვრებთა გაღვიძება, არამედ მილიციონერებისაც, რომლებიც, თითქოს ღამით ქალაქს ყარაულობენ**) მაგრამ ტკბილად იძინებენ*). (სურ. 9)

*) წარამარა აღვიძებს ხალხს და შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რომ დილით ადრე ვერ დგებიან. ქ.

**) სოფლად გლეხის სახლის ძაღლი ყარაულობს. (სურ. 8)

ერთგული დარაჯი



სურათი 8

„ძილშიაც საგუშაგოზე სდგას“. „გამაღვიძებელი“.





სურათი 9. სურათი 10.

ამიტომაც არის, რომ ქურდობა ასე გახშირდა.

ალმასკომს ძვირათ არ დაუჯდება, რომ თითოეულ მილიციონერს საათის მაგივრად მამალს უყიდდეს და თავზე დაუჯენდეს**) (სურ. 10).

გათენებისას მძინარე მილიციონერს მამალი გამოაღვიძებს და არა გამვლელი მოქალაქე, როგორც ეს დღეს ხდება.

ბოდიშს კი ვიხდი ზოგიერთების წინაშე, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას.

ასე მგონია, რომ ავტომობილი არც ისე ხელსაყრელია სახელმწიფო ჯიბისათვის, როგორც ეს ბევრს ჰკონიათ.

აი მაგალითად: თავისუფლების მოედნიდან სადგურამდე ერთი სპეცის ერთი ცოლის და ცოლის ერთი ძაღლის გადაყვანა მანქანას დაუჯდება ერთი მანეთი მაინც. სურ. 11.

„დიდხარჯიანი საშუალება“.



სურათი 11.

ქალი და ძაღლი იწონიან 3 ფუთს და 10 გირ.

ამავე მანძილზე მიშას ჰკიდებენ ზურგზე შვიდფუთიან ტვირთს და აძლევენ 50—60 კაპ. (სურ. 12).

*) კარგი იქნებოდა: ალმასკომი მიჰბაძავდეს სოფელს და იმ უამრავ ძაღლებს, რომლებიც ასე გამრავლებულია ჩვენი ქალაქის ქუჩებში, მოიხმარდეს ქალაქის დაცვის საქმეში. მაშინ მცხოვრებლები უფრო უზრუნველყოფილი იქნებიან ქურდებისაგან.

**) თუ კი იმდენი ბარგი-ბარხანა აჰკიდა, ბარემ ესეც მოუმატოს.

„თავფასიანი საშუალება".



სურათი 12.

აქედან აშკარაა, რომ მანქანა არა თუ არ არის ხელსაყრელი, კიდევ მეტი: ძალიან საზარალო საქმეა. ასე არის მხოლოდ სახელმწიფო მოსაზრებით. მაგრამ, რადგან ახლა მანქანები უმთავრესად ყველა სახაზინოა და მათ ხარჯებს ხაზინა კისრულობს, ამიტომ კერძო პირთათვის მათი ხმარება არაფერი არ ჯდება. ამგვარად, კერძო მოსაზრებით, მანქანა უფრო ხელსაყრელია, რადგან მისი ხარჯები შენს ჯიბეს არ აწვება, ვიდრე მუშა, რომელსაც გასამჯელო დაქირავებულმა უნდა მისცეს.

ამ უპირატესობის წართმევა არ შეიძლება—და ამიტომაც არის, რომ სახელმწიფო მანქანებს წარამარა აქროლებენ სადაც და ვისაც მოეპრიანება.

აი, ყველაზე უკეთესი და მოსაწონი, თანაც სახელმწიფოსათვის მეტად სასარგებლო გამოგონება.

ეს არის ცეცხლგამძლები (несгараемая) კასა.

„Несгараемая касса„



სურათი 13

ამბობენ: ფული ეშმაკის გამოგონილიაო და მართლადაც ასე უნდა იყოს... იგი ვის არ შეაცდენს... განა იუდას არ უყვარდა ქრისტე? კი უყვარდა, მაგრამ ფულმა შეაცდინა... ანდა, მეორე ინტერნაციონალს არ უყვარს მუშათა კლასი? კი უყვარს, და უყვარს კომუნისტებზე უფრო, მაგრამ ფული აცდენს მათ და თავს აყვარებს... ვის არ უყვარს ფული... (რა ვიცი; მე კი ძალიან მიყვარს).

ყველამ კარგად ვიცით, რომ ამ ბოლო დროს ძალიან მოუხშირეს ადგილკომებმა კავშირის ფულის გემოს გასინჯვა. მათ ადმინისტრაცია სასტიკად ეპყრობა, მაგრამ ქვეყანა ჩალით დახურული ხომ არ არის?.. სასამართლო შედის მდგომარეობაში, რომ ფული ეშმაკსაც შეაცდენს—და დედაშვილურად ეპყრობა.

ჩვენს სურათზეა დახატული (სურ. 13) ადგილკომის მდივანი, რომელმაც გამოიგონა კავშირის ფულის შემნახველი კასა მუცელში.

მართლაც, ნამდვილი „ნესგარაემაა კასა" ეს არის. დაცულია ცეცხლისაგან და ფული სამშვიდობოს არის მუცელში.

საბედნიეროდ ასეთი სალარო ბევრ ადგილკომებშია და შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ.

---

ჩვენ ამდენ ხანს უმთავრესად ტეხნიკაზე გვქონდა ლაპარაკი. ამით მინდოდა დამესრულებია ეს წერილი, მაგრამ სათაურში **მეცნიერებაც** სწერია. თანაც დღეს **ტეხნიკა** და **მეცნიერება** ორი განუყრელი რამ არის. ისინი უკვე ერთმანეთზე დააქორწინეს და ჩვენც აღარ მოვინდომებთ მათ დაშორებას.

ჰო და ტეხნიკასთან ერთად კვალდაკვალ მეცნიერებაც წინ მიდის.

ახლანდელი ცხოვრება სავსეა ათასგვარი გაჭირვებებით და უბედურებით. ადამიანი მარად ფიქრშია—თუ როგორ გაიტანოს თავი. მის სახეს არ შორდება ღალვრემილობა, მას არა აქვს სიცოცხლის ხალისი (სურ. 14),

„სიცოცხლე-შეძულებული".



სურათი 14.

აქ გარემოებას დიდი ყურადღება მიაქციეს (სირაჯებმა) და გამოიგონეს წამალი.

ეს წამალი მზადდება ყურძნის წვენიდან და უწოდებენ მას ღვინოს. საკმარისია ერთი კვარტი მისი დალევა, რომ ეს მოწყენილი, ცხოვრება-მობეზრებული ადამიანი გამხიარულდეს, გაიცინოს და სიცოცხლე შეიყვაროს. (სურ. 15).

---

რამდენი ავადმყოფებია, რომლებსაც არ ეძანებათ. (მედიცინა „ძალგატეხილებს" უწოდებს მათ).

საკმარისია ავადმყოფმა ეს წამალი კვარტზე მეტი დალიოს (ზოგს კვარტიც ჰყოფნის, ზოგს ნაკლებაც), რომ მას ტკბილად დაეძინოს, სადაც არ უნდა იყოს.

„მხიარული“ და „სიცოცხლე შეყვარებული“.



სურათი 15.

„ტკბილი ძილი“.



სურათი 16

ამის მაგალითები ბევრია ჩვენს ქუჩებში. (სურ. 16)

— —

ბოლო დროს მედიცინას გიგიენა და ფიზკულტურა დაუპირდაპირდა.

„მთვარის ვანები“.



სურათი 17.

ჯანმრთელობისათვის დღემდის მზის სხივები პირველი საშუალება იყო, მაგრამ როგორც ჩვენი აგენტი (კაკტი) იტყობინება აფასთუმანიდან, იქ გამოუგონიათ: არალეგალური მთვარის ვანები.

მთვარიან ღამეში წყვილი, ემალება რა მეორე წყვილს (აქედან არის მისი სახელწოდება: **არალეგალური**), ღებულობე მთვარის ვანებს (სურ. 17.), რაც კარგად მოქმედობს ჯანმრთელობაზე.

**ქინქარი.**

# „თავმჯდომარე“

ყველაფერი წინ მიდის, ყველას ეშველა—მაგრამ ჩემს საქმეს მაინც საშველი აღარ აქვს, მე მაინც გაყინული ვარ ერთ ალაგას, აქ იქნა ჩემი წინ წაწევა, დაწინაურება. რაც მე ამავე ადგილზე ვარ, მას შემდეგ, მგონი, კუ მიწის გარშემო შემოივლიდა; მე კი ისევ აქ ვარ და ძველებურად.

რატომ ტელეფონი, ავტომობილი და კაბინეტი არ უნდა მქონდეს მე?! აგერ სამი წელიწადია მილიციის ადგილკომში ვმუშაობ... სახელწოდება ჩემიც თავმჯდომარეა და სხვისიც. თუ თანასწორობაა, მაშინ—თავმჯდომარე, ადგილკომის იქნება იგი, სახკომსაბჭოსი, თუ კულტკომისიის, სულერთია—ყველა თავმჯდომარეები ერთგვარი უფლებით უნდა სარგებლობდნენ.

ჩემი ხელით შევუდექი ჩემი კაბინეტის მოწყობას. ერთი დატვრეული დარაბა გამოვართვი ჩვენს „კომხოზს“, შევათეთრე მისი კედლები. დავდგი მაგიდა კუთხეში, მივადგი სამი ახალი და არხეინად გამოვიჭიმე... კარებზე დავაწერე:

**დაუკითხავად ნუ შემოხვალთ.**

ამოვისუნთქე თავისუფლად: თავისი კაბინეტი მაქვს...

მაგრამ მაკლია: ავტომობილი, ტელეფონი და სხვა ასეთები. ამათში ყველაზე უფრო ტელეფონი მაინტერესებს.

— სხვა თუ რადიოთი კონცერტებს ისმენს, რა იქნება, რომ მე ტელეფონით ცენტრალნიაში ქალებს მაინც ვეჭუკჭუკო მეთქი—და შევუდექი ტელეფონის მოწყობის საქმეს.

დიდი რიხითა და თავმოწონებით შევედი ქსელის გამგის კაბინეტის კარებში და სერიოზული კაცის სახის გამომეტყველებით გადავეცი ჩემი სურვილი.

— ძლიერ კეთილი, ამხანაგო, მაგრამ წინასწარ საჭიროა 27 მან. და 27 კაპ. შემოტანა—თავაზიანად გამოაცხადა გამგემ.

ეხლა კი დაიშალა ჩემი გეგმები. ხმისამოუღებლად გამოვედი გარედ...

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენანით გახწირულსა“ მომაგონდა რუსთველის ეს სიტყვები და გავმხნევდი.

დავისესხე და როგორც იქნა მოუყარე თავი. მეორე დღეს კიდევ უფრო თამამად შევაღე კარები.

ფული გადავიხადე, „ნარიადი“ ამომიწერეს და წამოვედი დამშვიდებული.

გადის დღეები. ვინც კარებში შემოვა, მე მგონია ტელეფონის გამკეთებელი არის, მარა შენ არ მომიკვდე, ვინ იწუხებს თურმე თავს.

მოვკურცხლე ისევ სადგურისაკენ.

— ამხანაგო, ტელეფონს რატომ არ გვიდგამთ?—წყრომის კილოთი მივმართე გამგეს.

— აპარატი არა გვაქვს. ამხანაგო—მიპასუხა სრული დამშვიდებით.

— აპარატი არა გაქვთ?! თუ უცხოეთში „მეჩისტეებს“ რადიო უდგანა, ნუ თუ მე მათზე ნაკლები გგონივართ? მე, ამხანაგო, ბათომის მილიციის ადგილკომის თავმჯდომარე გახლავარ—თუ გინდ პროფსაბჭოს თავმჯდომარე იყავით, როცა არა გვაქვს, რა ვქნა. თუ თქვენ თვითონ აღმოაჩენთ სადმე, ჩვენ დაგიდგამთ—

— შენ ოჯახაშენებულო, ესეც ხომ ბინა არ არის, რომ ამოვაჩინო და შემდეგ მიმეცით... ორმოცი ბინა ამოვაჩინე, და აბრამოვმა ჩემი ამონაჩენი ბინები ქალებს დაურიგა—

სხვა გზა აღარ იყო: ტელეფონი უნდა აღმომეჩინა.

სხვაგან არ მაქვს დიდი განმავლობა, თორემ ბათომის მილიციაში ღმერთი ვარ.

გავეცი საიდუმლო განკარგულება ტელეფონის აღმოჩენის შესახებ.

ღმერთმა უშველოს და ხელი მოუმართოს შალვა გოგიბერიძეს, რომელსაც, თურმე, ოდესმე ჰქონდა ტელეფონი და შერჩენოდა აპარატი.

აბა, ან რას გახდებოდა პატრონის წინააღმდეგობა. დავავლეთ ხელი და ქსელის გამგეს წარუდგინე.

— ყოჩაღ, ყოჩაღ—შემაქო გამგემ—ამ აპარატს ხვალე დაგიდგამთ—თუმცა ეს „ხვალე“, ძალიან მეწყინა, მაგრამ წამოვედი.

მართლაც, ცხოვრებაში ერთხელ, გამართლდა „ხვალე“: მეორე დღეს ჩემს კაბინეტს მოადგა „მეცნიერება და ტეხნიკა“.

გაისმა ტელეფონის წკრიალა ხმა. მთელ ბათომს ველაპარაკები, ყველა დაწესებულებებს ვიძახებ. *)

საქმე გაჩარხულია: მაქვს კაბინეტი ტელეფონით, მაგრამ მაინც არავინ არაფრად მაგდებს.

სადაც ვზივარ, იქ კედელზე ქაღალდი გავაკარი წარწერით:

**„ადგილკომის თავმჯდომარე“**

ახლოს:

**„ხელისჩამორთმევა აკრძალულია“**

თუმცალა, ქალი თუ შემოვიდა, ამ წესს უწინ მე ვარღვევ.

**„თამბაქოს მოწევა აკრძალულია“**

მაგრამ ვინც კი შემოვა, სალამის უწინ პაპიროსს ვსთხოვ.

ერთი სიტყვით, კაბინეტი არის და არც ისე დასაწუნია იგი, მაგრამ რად გინდა კაბინეტი, როცა არა მყავს: არც მეკარე, არც მდივანი, არც დამლაგებელი, არც შიკრიკი და არც გაზეთის მომტანი.

რას ვიზამ—კაბინეტის ხათრის და სიყვარულისათვის ყველაფერს მე ვშვრები.

დილის 7-8 საათამდი—ვალაგებ: 8-9 გაზეთები მომაქვს; 9-10—მიმოწერებს ვასრულებ (ე. ი. მდივანი ვარ) 10-11—კი სერიოზულად ვზივარ და ვასრულებ თავმჯდომარის მოვალეობას: განცხადებებს წითელი მელნით რეზოლუციებს ვაწერ; 11-12—კავშირში მამუშავებენ და 12-2 პაკეტებს ვატარებ, (ე. ი. შიკრიკი ვარ).

ამგვარად გაჭირვება დიდი მაქვს, მაგრამ რაკი კაბინეტი და „მეცნიერება და ტექნიკა“ მაქვს, თავი მაინც ბედნიერად მიმაჩნია.

ავტომობილზე ხელი ავიღე, მაგრამ ერთი სურვილი მაინც მაქვს: მინდა, რომ ჩემი სურათი გაზეთებში მოათავსონ... არ ვიცი ვის მივმართო... ისევ შენ თუ შეგაწუხებ, ჩემო ტარტაროზო. თუ გადმიღებ, იცოდე გადამიღე იმ მომენტში, როცა თავმჯდომარე ვარ და ტელეფონით ვლაპარაკობ, თორემ თუ სხვა მომენტში გადამიღე, შენი მტერია,—ცოლი გამექცევა (თუმცალა ჩემი ნატვრაც ეს არის) ჩემი ტელეფონის ნომერია 308.

შენი პატივმცემელი: პ. ოზთლი.

*) კარგია თუ თქვენს ცენტრალურ სადგურში მოსამსახურე ქალებს არ სძინავთ, ანდა „არ სცალიათ“, როგორც ეს ჩვენთან, თბილისში, არის, ტ.



# „ორთავიანი ტახტი“

### პატარა ფელეტონი

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე და კირილე ორივე აცხადებენ თავის უფლებებს „რუსეთის ტახტზე“. ამ ნიადაგზე მათ შორის დიდი მეტოქეობა არის. რუსეთის მთელი ემიგრაცია გაყოფილია ნიკოლოზის და კირილეს მომხრე ბანაკებად.



ჩვენ ცხლაც ვიმბობთ, რომ მეფის რუსეთი დაღუპა მრავალთავიანობამ და მეფის უთავობამ, (რაც ჩვენ მეტად გვიხარია და ამასთვის მათ დიდ მადლობას უგზავნით)

რუსეთის მეფის კარგ მომავალში იქვი მას შემდეგ შემეპარა, როცა, ერთხელ, ჟურნალში ვნახე მახინჯ არსებათა სურათები.

აქ გამოხატული იყო ადამიანი, რომელსაც ერთი ტანი ჰქონდა და ორი თავი. ასეთივე სურათი იყო ერთ ერთ ცხოველის.

ვიფიქრე:—თუ ასეთი მოვლენა მახინჯობა არის, მაშ რუსეთის ღერბი—ორთავიანი არწივი—მახინჯი ყოფილა თქო.

სოლომონ ბრძენი (ე. ი. ზურგიელიძე) რუსეთის მეფეებს უქებდა ჭკუას, და მიკვირს: ამ ჭკუიან მეფეებს სახელმწიფო ღერბად რატომ ორთავიანი არწივი აურჩევიათ! ორთავიანობა ხომ—მახინჯობაა!?

მაგრამ ისეთი თავები, როგორიც რუსეთს განაგებდენ, ათასი რომ გადაადუღო, ერთ ხეირიან თავს ვერ მიიღებ, რადგან როგორიც შემადგენლობა არის—ნარევიც ისეთი გამოვა. ასე იყო წარსულში.

მაგრამ ახლა, როცა რუსეთის „მეფეები“ სხვადასხვა ქვეყნებში არიან (არა მეფეებად, არამედ მაწანწალებად), კიდევ ორთავიანობაზე ოცნებობენ.

კირილე და ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ორივე აცხადებენ „თავის უფლებებს“ „რუსეთის ტახტზე“.

ჩვენ რა გვენაღვლება „გული მოიფხანის“ ამ გაუბედურებულმა ხალხმა და „ტახტის იმედით“ გაატანჩალონ თვისი დღენი, რომელნიც მიწურულან.

ამ ორ „მემკვიდრეთა“ შორის „ტახტის შესახებ“ მეტოქეობა არის. ჭკუასთან ახლოს არიან. (მერე რა უყოთ, თუ ჭკუა მათგან შორს არის) მართლაც ბრძოლამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი, ორთავიანობის სიმახინჯე უნდა მოისპოს.

ჩვენ არც ისე გაბოროტებულნი ვართ „ყოფილ დიდებულებზე“, რომ კარგი არ ვუსურვოთ.

ვუსურვებთ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს და კირილეს ორივეს გაემარჯვებინოს ერთმანეთზე:

პირველს მეორე დაემარცხებინოს და მეორეს პირველი.

ორივეს მიმართ მიუდგომელი ვართ, რადგან ჩვენთვის სულერთია მათი ერთმანეთზე გამარჯვებაც და დამარცხებაც.

კონ-წარი.

# გოგიელას გასაჭირი

(იმერული სცენა)

დიდება შენ სახელს უფალო!..

ბოშო, სიდან გეიგო ამ ევროპიამ ჩვენი პურ მარილის ამბავი, რომ ყოველ კიდრიდან ასტე ბეირივით დაგვესიენ აგი სტუმრები და დელეგატები!!.

არა, ქე კი მეუმბებოდა ბაბუაჩემი, რომე საქართველოს პურმარილის ამბავი თელმა ქვეყანამ იცისო, მარა თუ მართლა, ევროპიაზე იყო მიდებული აგი ამბავი, არ მეგონა სწორეთ!

ააშენათ ღმერთმა, მევიდენ—სტუმარი ღვთისაა. სტუმარ-მასპინძლობაში კი გვიწერია პატი, შენ სხვაი თქვი თვარა...

მაინც-და რომ გაავრცელენ ამ გაზეთებში აგი უშველებელი აბელენიები! ყველა დაგვიბარეს: ქალი და კაცი. „არევინ დარჩეს სახლში და ყველა ერთად შეხვდეთ სტუმრებსო!“

მეც ვიფიქრე: ქეიფი, ლხინი, ცეკვა თამაში ჩემი მოგონილია თქვა—გადავწყვიტე, რომ სწორედ სასახელოთ კვარანჭანა კესარიით შევხვდეროდი გერმანცკი სტუმრებს და ჩემი ბიჭობა მეჩვენებია.

მე შენ გითხრა ვერ მოულხენ თუ, რა! სტუმრობაში და პურმარილში არ დავალამე ჩემი დღე და სოფელი!! სტუმრიზა და პურმარილიზა სულ რომ ჩემი კესარიის იუპკა დამირჩეს დასაწინდრავი, მაინც სირცხვილს არ ვჭამ-და, რომ ეკადრება ქართველ კაცს, სწორეთ ისტე დოუხვდებ სტუმარს. იმაზაა, რომ თელათ გამოხანკულია ჩემი ოჯახი და ვირთხები სიმშილით სულს ლაფავენ, მარა კუდის რიკამდე რომ გამძვრეს ტყავი, მაინც მეზობელს არ ვათქმევ, რომე გოგიელა უპურმარილოაო და სტუმარს ვერ დოუხვდაო. ტერიც ვიცი და მოყვარეც, სხვაი დამპატიჟებს და არც იმაზა ვიტყვი ვარს. საცხა კასრული გარიხინდება, ჩემი კესარიე მისი დაურით და ბუზიკით იქნეა და მეც მის წინ ვარ დარჭობილი, რავარც სარივით. ვაკვრიებ კესარიას ბუზკანტს და მე კი უარ ლეკურს. ვაი სულო, ამ ხაბურძაკივით გარგვალებულ ბარიშნებს რომ ჩამოუქროლებ მიმინოსავით, ნამდვილ კაი საყურებელია, თქვენ ნუ მოუკვდებით ჩემს თავს! ისტე ვართ აწყობილი მე და კესარიე, რავარც ჩანგური. ღმერთმა ნუ ქნას: ნათვლა, ქორწილი და რამე შეკრებილება, რომ მე და კესარიე იქანა არ ვიქნეთ. ხო და, რაღაი ღმერთმა კი გვაღირსა ევროპეიცკი ხალხის სტუმრობა, რავა დავაკლდებოდი ამ ამბავს, რავა გამიწყრებოდა ღმერთი!

თუ კი სილიბისტრო სიკ ნჭილაშვილის ოჯახი მოშილხენია და სტუმრებთან კაცი გამომეჩენია, აგი გერმანცკი სტუმრებთან თავის გამოჩენა, ეს ხომ საქვეყნო საქმეა თქვა ვიფიქრე და მეც ავწიე, მოურთე პრუჟუნა ჩემს კესარიას და მისი წყობილებით წევიყვანე იმ ჯარში გერმანცკი დელეგატებთან მოსალხენად.

დედა, რა ნახა ჩემა თვალებმა! ამდენი ხალხი, შე კაცო, რამ წვიმა და რამ თოვა! თელათ გაბესკნილი იყო რუსთაველის ულიცა! თუ გამევიჩანე თავი, ახლა თქვა ვიფიქრე. აბა, მზათ იყავი თქვა უთხარი კესარიას და რავარც ხელი დაგიქნიო, მინუთში ააპრიწინე ბუზკანტი თქვა.

მოემზადა კესარია და ესაა ჩემ დაქნევას უცდის, მარა რომ გააბეს აგი რეჩები და გააგრძელეს ლორთს შიგანივით, აღარ იქნა მისი გათავება! ილაპარაკა ერთმა, ილაპარაკა მეორემ, მესამემ, დეიწყო მეოთხემ. ამევიდა სული ზევით!

ვიფიქრე: ამან ეს რეჩი რომ გააგძელა, ნამდვილ ტოლიბაშია და, ალბათ, რაცხა დიდ სადღეგრძელოს სვამს თქვა და მეც ყანწეთ მოვემხადე. უთხარი კესარიას: აბა, მზათ იყავი და, რავარც დავაქნიო, მინუთში ამყევი თქვა.

„ბოშო, გიყურებ და რომ არაფერი ეშველა შენ დაქნევასო!“ გაჯავრებით მითხრა კესარიამ.

უყურე სამი საათი და რავარც იქნა დეიძახა, ის ვინცხა იყო: „გოუმარჯოსო!“

ნამდვილ გაათავა სადღეგრძელო თქვა, ვიფიქრე და მინუთში ვანიშნე კესარიას. მანაც ააპრიწია ბუზკანტი და მეც, რავარც მიშინო, ისტე გავფრინდი და დოუარე ლეკური! დოუარე, მარა ვიღამ მაცალა! იგრიალა დუხოი ბუზიკამ. აჰყვირდა ხუთი ზურნა ერთად და აგი ჩემი კესარიის ბუზკანტი სადა ისმის! უმატა და უმატა კვრას წაწყალმა კესარიამ, მარა რას გახდება. მე ვუარ, დავტრიალებ, მარა ვის ნაკრავზე ვცეკვავ რომ არ ვიცი!

მსკანჩენ ხელი და ქე არ გამაჩერენ! „აქანე ცეკვა არ შეიძლება, აქ ლაპარაკიაო და მოგვასმენიეო“.

დედა გედვირიე კაცი! ჩემი ლეკურიზა გადარეულია თელათ ჩვენი კუთხე და აქანე, რავა გამაჩერენ ისაია ხუცესის ჯორივით! მე ლეკური დავიწყო და გამაჩერონ!.. აგი არ მომსწრია შიდღემჩი, თვარა კესარიამ იცის ჩემი ხასიათი, რომ დევიწყებ—ეშმაკი ვერ გამაჩერებს, სანამ არ გავათავებ.

ვჭამე სირცხვილი და რაღაი! გული მომივიდა; რომ ჩხუბი მექნა, თელათ მევიჯავრებოდით ქართველები. სტუმრები იტყოდენ რომე: ქართველებს ჩხუბისა და ლაილაის მეტი არაფერი ცოდნიანო და მეც იმიზა ჩევიგდე ენა; რას ვიზამდი!

მაინც და ამდენი ლაპარაკით ენა აღარ დეელალენ... ამდენი სუდში რომ ელაპარაკენ, ოთხმოცდა-ჩვიდმეტ საციმბიროს გაამართლებდენ, მე და ჩემა ღმერთმა! საწყალი კესარია თელათ მეიხარჩა, თელათ დადნა სირცხვილით მისი ბუზკანტის დაკვრა გათქმულია ჩვენს ვეზდაში და მეც ამიზა წამევიყვანე, რომე ამ უცხო სტუმრებთან თავი გამომეჩინა, მარა თავის გამოჩენა კი არა, თელათ მეიჯაყა ქალი!

წამევიყვანე სახლში; მორთო ტირილი და ველარ გავაჩერე!

— „არა, რავა გაგიბედენ, რომ ცეკვა არ გაცალესო!“.

ვეუბნები:—ბოშო, მე კი არა ნიკოლოზი გადმოაკოტრიალეს ტახტიდან და მე მისი ეშმაკი ვარ თქვა.

რაც იმან ცრემლი დააქცია, ორმოცდა ათი მეცვალებული გასვენდებოდა.

რომ სწერენ გაზეთებში: „სოფელს მიხედეთ, სოფელსო“... რავა, სოფლელები არ ვიყავით მე და კესარია, რომ არაკაცმა ყურადღება არ მოგვცა?! მანდამაინც ლაპარაკი მეისმინეო! სტუმრებს, შეკაცო, ლაპარაკი და ლაი-ლაი კი არა უნდა, იგენს მოლხენა, ცეკვა, თამაში და უშველებელი ყანწი.

დედა, რავა მევისპეთ, რავა შევრცხვით აგი შაქარ-ყინულივით ტკბილი ცოლქმარი! ახლა, რომ სთქვან იმ სტუმრებმა, რომ გოგიელას ცეკვა არ ცოდნიაო, რას იტყვის ევროპა! ხომ გამოვწყდით იმ განათლებულ ქვეყანაში მეც და კესარიაც!

მე მგონია, პატარა მაგ სტუმრებსაც გაეგონებათ არაკათ ჩემი ამბავი. რა ვიცი, ჩვენს მუხუროში ყველამ იცის ჩემი ლეკურის ამბავი და დევიჯერო, მაგენის ყურს არ მოხვდებოდა იგი! ქე მაინც არას იტყოდენ გლახას იმ გერმანიაში და ჯანაბა ჩემ თავს!

გოგია.



# კრება თუ სცენა?!

საბაყოს ეზოში თავი მოუყრიათ მუშამოსამსახურეებს. სამსახურის შემდეგ სახლში წასვლა ეჩქარებათ, მაგრამ ჯერ უშვებენ. მოდის ადგილკომის რწმუნებული.

— ამხანაგებო, დღეს მუშაობა სამ საათზე მოვათავეთ, ჩვეულებრივზე უფრო ადრე, ამიტომ სახლში წასვლამდე ვხსნი კრებას.

**ერთი მუშა**. ავირჩიოთ თავმჯდომარე და მდივანი და გავგონოს, თუ რა არის დღის წესრიგი.

**ადგილკ. რწმ.** თავმჯდომარე საჭირო არ არის; მისი არჩევა დროს წაგვართმევს. დღის წესრიგში არის: 1. ვასიკოს უგინებია ქალებისთვის და უშვერი სიტყვებით მიუმართავს... ერთხელ და სამუდამოთ უნდა ავმოვიგხრათ... ფრიად საყურადღებოა.

## ეგრედწოდებული „რკიანი მატარებელი“.




2. ქალების უფროსი თხოულობს გამოცვლას...
შემდეგი კი მიმდინარე საკითხები.

**მეორე მუშა.** მე როგორც ვიცი—ჩვენებში ვასიკო თავს დამნაშავეთ სთვლის.

**ვასიკო.** მე ჩვენებში, რომელიც უნდა გაიგზავნოს სამმართველოში, თავს დამნაშავეთ არ ვცნობ, მაგრამ აქ კი ბოდიშს ვიხდი.

**ერთი ქალი.** Я извиняюсь, грузинского языка не понимаю; Что говорит Васико?!

**მესამე მუშა.** ამხ. რწმუნებულო, ფულს რატომ არ მაძლევ? ფული მინდა... სხვას თუ მიეცი მე რა გარ?!

**ადგ. რწმ.** მაშ , ამხანაგებო, საკითხი ამოწურულად მიმაჩნია.

**მეოთხე მუშა.** (ხმაურობაა) ამხანაგებო, წესრიგი დაიცავით, რაშია საქმე? სიტყვა მაქვს სათქმელი.

**ადგ. რწმ.** მაშ გადავიდეთ შემდეგ საკითხზე: უფროსი ქალის არჩევა.

**ერთი მუშა.** ისევ ის იყოს, ვინც იყო.

**უფრ. მუშა ქალი.** ამხ. მე არ შემიძლია ხელმძღვანელობა,—რთული საპასუხისმგებლო საქმეა!..

**ერთი ქალი.** ამხ. რწმუნებულო, უფროსი ქალის დაუკითხავად რატომ მიეცით სამ ქალს ფული?

**მეორე მუშა.** ამხ. წავიდეთ წითელ სასადილოში და წითელი ღვინო გადავკრათ. (სიცილი, ხმაურობა).

**ერთი ქალი.** Скажите, пожалуста, что сказал Васо на счет моего заявления?

**ადგ. რწმ.** (კრებას) Вчем дело? საწყნარე, წესრიგი დაიცავით.

**ერთი მუშა.** თავმჯდომარე ავირჩიოთ, თავმჯდომარე და მდივნად, თუ გინდა, შენ იყავი.

**ადგ. რწმ.** ვინ ხართ მომხრე დარჩეს ქალების უფროსად ისევ ის, ვინც იყო?

**უფროსი მუშა ქალი.** სიტყვის ნება... რაშია საქმე?.. სიტყვის ნება. (ხმაური, სიცილი, სიმღერა).

**ხმები:** არ გვინდა.. არ გვინდა... კი გვინდა... კი გვინდა... ახალი... ძველი... ძველი.., ახალი...

**ერთი მუშა.** თავმჯდომარე და მდივანი ავირჩიოთ.

**ხმები:** წითელ სასადილოში... ბაღში... სახლში... შშია... გასულია... არ მინდა... კი მინდა... ძველი... ახალი,..

**ერთი ქალი.** На счет моего заявления как дело?

**ადგ. რწმ.** საწყნარე, ამხანაგებო...

**ერთი მუშა.** თავმჯდომარე და მდივანი ავირჩიოთ.

**ადგ. რწმ.** ამხანაგებო, მიმდინარე საკითხებზე გადავდივარ.

**ხმა.** ეირამალას.

**ადგ. რწმ.** Заявление, прошение თხოვნა (კრება ჩუმად მიიპარება).

**მეოთხე მუშა.** დაახჭარე სიტყვები ხალხმა რამ არ გაგასწროს. (ყველა აირევა-დაირევა).

**ადგ. რწმ.** კაცო, ვინმემ სადილზე დამპატიჟეთ.

**ვასიკო.** მე დაგპატიჟებ; წამოდი, წავიდეთ (მიდიან).

**ერთი მუშა.** თავმჯდომარე ავირჩიოთ და საქმე გავარჩიოთ (შეჩერდება) ბიჭოს!

**კრებაა თუ ხცენა!?**

**გიპწკინე.**



## „გაყრა“

(გაგრძელება*)

**მხაჯული.** (სიმხას) ხომ თვითონ თქვენ თხოულობთ გაყრას?!. საბჭოთა კანონების ძალით თქვენ ქმარს უფლება აქვს...

**სიმხა** არა, შენ შემოგევლოს სიმხას თავი! მაგაზე როგორ დავთანხმდები?! მგონია, მეხუმრები... ვაი-ვაი-ვაი... ცოცხლად გინდათ დამმარხოთ?! ოშუაყას შეშინება მინდოდა და შენ კი სულ ბოლოს მიღებ? არა, შენი ჭირიმე, არა...

**მხაჯ.** მაშ თქვენ თხოვნაზე უარს ამბობთ?

**სიმხა.** რავა?

**მხაჯ.** აღარ გინდათ გაყრა?

**სიმხა.** არ შემიძლია, შენი ჭირიმე, რომ მაგან ჩემს მერე...

**მხაჯ.** მე თქვენ გეკითხებით:—აღარ გსურთ გაეყაროთ თქვენ ქმარს?

**ოშუაყა.** რადგან მე შემეძლება მეორე ცოლი შევირთო—თანახმა ვარ გავეყარო, ხოლო მაგი კი ქალიშვილად დარჩეს სამუდამოდ.

**მხაჯ.** ეს არ შეიძლება; თქვენს ცოლსაც აქვს უფლება—გათხოვდეს.

**ოშუაყა.** ვინა? ვინა? ჩემი სიმხა უნდა გათხოვდეს მეორედ და მე ცოცხალი ვიყო?! ვაი, ამ ჭამას! რას მილაშე შენ?! მაგ არი კანონი? ვაი, შენი ჭირიმე, ამდენი შუტიტიც არ ვაოგა!

**მხაჯული.** გელაპარაკებით, რომ—თქვენს ცოლს ექნება ნება მეორედ გათხოვდეს.

**სიმხა.** (ოშუაყას ნაშნის მოგებით) დიახაც გავთხოვდები!.. აბა, რავა გეგონა შენე?! საქორწილო თეთრი კაბა ზანტუკში მაქვს შენახული... თვალებს დაგიბრეცავ, შენ ბრუციანო.

**ოშუაყა** ვის დოუბრეც შენ, ვისა? ვისა?! ვაი, შენ ცხრაკუდავ... იმისთანა საქმეს გიზამ, რომ—გათხოვების მაგივრად სიკვდილი გენატრებოდეს.. ბატონო სუდია, მე სალოსინი არა ვარ მაგის გათხოვებაზე... არა, ბატონო სუდია... ისე იცოცხლე.

**მხაჯ.** მაშ რისთვის მოდით ჩემთ ნ?!

**სიმხა.** არა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე; აღარ შემიძლიან მაგასთან ცხოვრება... სულს ამომართვა... ოოოოი, რო იცოდე, ბატონო სუდია, რა ვიყავი... ოოოი... უწინ რო გენახე და გაგეშინჯე, ჩემზე უკეთეს ვერაფერს ნახავდი. ზარბაზნივით ვიყავი.. ახლა კი, ახლა კი რაღა ვარ? უკანასკნელი წვეთი სისხლი ამომწოვა.

**ოშუაყა.** ვინ ამოგწოვა? ვინა?.. მე? მე?. ვაი, ისე იცოცხლე!

**სიმხა.** ისე იცოცხლე!.. არ ამომწოვე?. არა? არა?.

**მხაჯული.** მაშ თქვენ აღარ შეგიძლიათ ერთად ცხოვრება?!

**ოშუაყა.** არა, ბატონო, შეუძლებელია... ერთი-ორი წელიწადი ვცხოვრეთ მაგასთან და მერე მეხდებით ჩემს პალაჟენიას. აი, ბატონო, მაგალითად: ამას წინად ცოცია ლისტი დამიძახა! აი, შე ცოციალისტოო... ასე გამლანძღა! ისე იცოცხლე... კიდევ კარგი, რომ არავის გაუგონია, თორემ სირცხვილით სად უნდა გამომეყო თავი?

**მხაჯული.** მერე რა! განა სოციალისტობა ცუდი რამ არის? (სწერს)

**ოშუაყა.** კაი, შენი ჭირიმე.. შენც დამცინი? ვაი იმათ! უი იმათ!

**სიმხა.** მერე შენ რა დამიძახე არ გახსოვს?! ბატონო სუდია, ვიტყოდი მარა მრცხვენია.

**მხაჯული.** არ არის საჭირო.

**სიმხა.** რომ არა ვსთქვა, არ შემიძლია. ასე მითხრა, ბატონო, მაგან... ვაი, შენ ოშუაყა, ენა რატომ არ გაგიხმა!.. ბატონო სუდია, ასე დამიძახა: აი, შენ კონსომოლაო!.. (ოშუაყას) სიკვდილი არ გირჩევნია ახლა, შენ უბედურო?!

**ხოსრო.** მერე, რა არის ცუდი მაგ სიტყვაში, შე გამოყრუებულო? გოუახ ლგაზდებიხარ, ბოლში ნიჩაო.

**მხაჯული.** ხოსრო, შენ ნუ ერევი საქმეში, შენ არავინ გეკითხება (მოარჩება წერას) მოაწერეთ ხელი.

**ოშულა** } წერა არ ვიცი, შენი ჭირიმე.
**სიმხა** }

**მხაჯული.** თქვენი თხოვნა დაკმაყოფილებულია...

**ოშულა** } (მხიარულად) მადლობ ბ. სუ-
**სიმხა** } დია.

**მხაჯული.** თქვენ ამიერიდან ერთიმეორისაგან განთავისუფლებული ხართ. ეხლა შეგიძლიათ წახვიდეთ (გადის).

**ოშუაყა** (გაკვირვებული) აჰ!

**სიმხა** (ისიც გაკვირვებული) რაო?

**ხოსრო** რაო და ქარცეცხლი თქვენს თავს. გაგყარეს და საქმეც გათავდა, გაგითავდათ სიცოცხლე... წადით; დღეის იქით აგი შენი ცოლი არ არის და შენ მაგის ქმარი აღარ ხარ?

**ოშუაყა.** ვაი, ვაი,

**სიმხა.** უი... უი—

**ხოსრო.** ვაი თქვენდა—წელკავი?

**ოშუაყა.** } რავა? გაგვყარეს?!
**სიმხა.** }

**ხოსრო.** რავა და ისი!? თქვენ არ თხოულობდით—გაგვყარეთო?! ახლა თქვენ ცოლ-ქმარი აღარა ხართ.

**სიმხა.** რას იბრიდობ, შე უწმინდურო?!

**ხოსრო.** კი არ ვიბრიდომ, მართალს გეუბნები. იშოვე ახლა საქმრო და გათავდი; ქორწილზე ქე დამპატიჟე.

**ოშუაყა.** სად სწერია მაგე?

**მხაჯული.** (შემოდის სახლში წასასვლელად ჩაცმული) თქვენ რაღას უცდით აქ? აკი გამოგიცხადეთ, რომ თქვენი საქმე გათავებულია მეთქი. შეგიძლიათ მიბრძანდეთ.

**ხოსრო.** არ სჯერათ.

**მხაჯული.** რა არ სჯერათ! თანახმად მათი თხოვნისა—გაყრილნი არიან, ერთსაც და მეორესაც შეუძლიათ სხვებზე დაქორწინდენ. (მიდის).

**სიმხა.** ამას რა მილამი, ბატონო სუდია?! მე მარტო შეშინება მინდოდა.

**მხაჯული.** ეჰ! რა გელაპარაკოთ... მე არა მცალია. ხოსრო გაიყვანე ორთავე. (გადის).

(ოშუაყა და სიმხა უცქერიან ერთმანეთს; შემდეგ ორივე აქვითინდება).

**სიმხა.** ვაი, მე უბედურმა რავა დავქცეე ბაითი!.

**ოშუაყა.** ახლა ტირი? ახლა ტირი, რომ ამომაგდე ძირიან-ფესვიანად? მეორეთ გათხოვება მოინდომე? ახლა არ გაგალავაშო ჩემებურად?!

**სიმხა.** (ტირილით დაუჩოქებს ოშუაყას) ოშუაყა, მაპატიე, შენი მუხლების ჭირიმე. ანტუკატმა შემაცდინა!

**ოშუაყა.** სად წავიდე ახლა? რომელ ჯამაათში გამოვყო თავი? იქნება შენ გვიშველო რამე?

**ხოსრო.** მე რა უნდა გიშველო?!

**ოშუაყა.** სუდებში გამოსულქისინებული ხარ; თუ მოინდომებ—ქვეყანას გადააბრუნებ.., შენი ჭირიმე გვიშველე.

**სიმხა.** ჩემი ბაშმაკები შენზე ალალი ყოს, ოღონდ გვიშველე.

**ხოსრო.** („დიდკაცურად“ ჩაცდება მსაჯულის სავარძელში) მოითმინეთ... ეს საქმე მეტად ძნელია, მაგრამ ვეცდები რამეფრად გამოვაკ ხრაკო, მხოლოდ ..

**ოშუაყა.** საროშავზე შეჩერდი?.. ერთ ჩერვონეცს დაგიგდებ... ისე იცოცხლე.. (აძლევს ფულს).

**ხოსრო.** თუმცალა ამ საქმის გამობრუნება შეუძლებელია, მაგრამ რა უყოთ; ძველი მეგობრები და მეზობლები ხართ. ხვალ მოდით აქ და ვეცდები,

**სიმხა.** კი ჩემო ლამაზო ხოსრო. შენ გენაცვალოს შენი სიმხას თავი. შენი პატივისცემა მერე მე ვიცი.

**ოშუაყა** (სიმხას) შენ დამმართე ამისთანა ყალილი... ბაითში არ წამოხვალ? გვერდებს დაგილეწავ იმდენს გიბაყუნებ!

**სიმხა.** კიდევ მეჩხუბები? ვერ ხედავდი რა სიცხე დაგაყენე?! ახლავე მივსცემ მეორე არძას!

**ოშუაყა.** ვაი, შენ მოჩორთილო.

**სიმხა.** უი, შენ კვაპატარიი.

**ოშუაყა.** მოჩორთილო.

**სიმხა.** კვაპატარია, მაშკა ლორი, კვატიპარია, მაშკა ლორი.

მ. ნუმო.

---

*) იხ. ტარტაროზი № 14- (17).



# სატარტაროზო

## ჩოხატაური

ტარტაროზ! ტანად „პაწა“ ვარ
სუსტი, ულონო, ეული,
ვით უჩინარი ბოზოლი
ბუნებით კრუ[illegible]—წყეუ[illegible]!..
მარა მადლი ღმერთს, ერთში ვარ
გაწვრთნილი—გამორჩეული,
ვისაც „ქეჩოში“ კბილს გავჰკრავ,
ვეჭკობ მოურჩეს სხეული!!
მახინჯია ცდები ფუჭეა,
როგორც არ ჰკეტონ კარები,
მე მაინც ცოდვის საქექათ,
კედელში გავეპარები!..
და იმ დროს, როცა „საკბილოს“
ჩმახავენ საცოდავები—
იქ ვზივარ—მარა, ვერ გრძნობენ
უტვინო მათი თავები!..
უნდა ვუკბინო ვინც მრუდეთ
ქვეყანას ემსახურება! .
და ფეხებს ჩემსას, თუ ვინმე
ამისთვის დამემდურება!
ორი თვის წინად ჩვენს ექიმს
ფრთხილად წავკარი კბილები,
(რიდი ვქენ, მთლად არ ვამხილე
ცოდვები ჩანადინები).
მას აქეთ ესე „მდევ-კაცი“,
აღარ ისვენებს, აღარა ..
„აპუტუნა საყვირი,
დაჰკრა დაფი და ნაღარა!..
რუსულად დედას მაგინებს,
ქართულად მოაქვს მუშტები
ჯერ კი გადავრჩი გალახვას,
იქეთ და აქეთ უსხლტები.
მარა სანამდე ვიმალო,
ან რა მაქვს დასამალია?!“
თუ ტყვილი რამე მოვჩმახე—
ამისთვის სამართალია.
პრესა, სახალხო მსაჯული.
პეტრე, პავლე თუ ალია,
ყველა გაარჩევს ჩვენ საქმეს,
მივიდეთ ჩვენი ვალია.
თორემ თუ ჩხუბზე საქმეა,
უთხარ ტარტაროზ, „დოხტურსა“—
ჩვენში ადათი ასეა:
ხუთჯერ მეტს სცემენ მომხდურსა.
სწორია: სიგრძით მოკლე ვარ,
სულ რაღაც ერთი ტკაველა—
მარა თუ ექიმს გავექცე,
მოგიკვდეს შენი

წავედა.

---

## რას ერჩით ღორებს?

**ხამტრედია.** აღმასკომი და მილიცია ძლიერ გადაემტერა ღორებს, რომლებსაც აუკრძალეს ქალაქის მიდამოებში გავლა.

სამაგიეროდ ლმობიერად და თავაზიანად ეპყრობა ღორებს სადგურის უფროსი, რომელმაც სადგურში სეირნობის ნება დართო ღორებს.

აღმასკომო და მილიციავ! მიგბაძოს თქვენ სადგურის უფროსმა.

**ხახარინა.**

## მცხოვრებლებს უვლიან

**გომახური.** (ჩიბათი), სამკითხველოში აკრძალულია ახალი გაზეთის დადება, რათა ცხელ ცხელმა ამბებმა მკითხველს გული არ დაუწვას.

**იქიდანვე.** საბჭომ დაადგინა: სთხოვოს (მაგრამ არ იცის ვის) დახმარება დამშეულთა სასარგებლოთ ამ უკანასკნელთა საკვდილის შემდეგ.

## მისაბაძი მაგალითი

**ზედა-შუხუთი.** განზრახულია ადგილობრივ სკოლის ეზოში გაშენდეს ბაღ ბოსტანი; ამ მიზნით ორ ალაკას გაარღვიეს სკოლის ეზო, რათა იგი გაანოყიეროს სოფლის საქონელმა.

## ვერავინ სჯობნით

**იქიდანვე** ადგილობრივ დრამწრის მიერ საზაფხულო სეზონში გამოკრულია თურ-წარმოდგენის 2800 განცხ დება, ხოლო თვით წარმოდგენა ერთხელაც არ გამართულა.

## სამოქალაქო ომი

**იქიდანვე.** ზედა და ქვედა შუხუთს შორის ჯერაც არ შეწყვეტილა აყალ-მაყალი იმის შესახებ, თუ რომელ მათგანს ერგება რკინის-გზის ბაქანი. ისინი რომ ამ ჩხუბშია, ცენტრი სდუმს და ელოდება, თუ ვინ გამოვა ომიდან გამარჯვებული, რომელსაც, ალბად, მიაკუთვნებს ბაქანს.

**დოროლი.**

## კარგი საშუალება

**ხოფ ქვემო-გომი.** კრებაზე რომ მდივანს არ გაეჩხიროს ყელში სიტყვები, (სულ ორიოდე სიტყვიდან შესდგება მისი მოხსენება) ამისათვის იგი მეზობლის ბოსტნიდან მალულად მოიტანს ოციოდე კიტრს და სხვა ხილს, რათა „პირი გაისველოს“. ამის შემდეგ კი კრებას რიხიანად უძღვება და მისი მოხსენების დროს, (მოხსენება გრძელდება თორმეტ საათამდე) სოფელს არ სძინავს, რადგან მისი ყვირილი მიდამოს აყრუებს.

**ჟე-რო.**

## თავისი გაიტანეს

**ოზურგეთი.** საფინანსის დარაჯებმა ძველი არქივიდან გაიტანეს ქაღალდები ვაჭრებთან გასაყიდათ [illegible] ფასებში. ამ კეთილ-მოქმედების გასამართლებლად დაასახელეს ჯამაგირის მაულებლობა; ამის შემდეგ ისინი წაიყვანეს მილიციაში (ალბად ჯამაგირების მისაღებად).

**ნ—ხი.**

## ნეტავი გაგვაგებინა?

**იქიდანვე.** განზრახულია წითელი სასადილო იჯარით გაიცეს კერძო მეკიტნეებზე, რადგან სასადილო ზარალობს. მოიჯარადრეები მრავალია. საკვირველია: თუ სასადილო საზარალო საქმეა, რატომ ასე ელტვიან კერძო პირები? ისინი ხომ საზარალო საქმეს ხელს არ მოჰკიდებენ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ: სასადილო კი არ არის იჯარით გასაცემი, არამედ მისი გამგეობა და მოსამსახურენი.

**ყირიმტარტარი.**

## ბათომის ქრონიკები

**ბოროტი ენები ხმებს ავრცელებენ**—თათქის დ. კ—ძის საქმე, რომელიც გამოძიებაში იყო, არქივისაკენ გამგზავრებას აპირებსო.

**საიდუმლო ბარათები.** ამბობენ ამხ. ა ვს საიდუმლო ბარათები მოსდის მანდილოსნებიდანო, რომლებიც ბინის შოვნას სთხოვენო. ხმები სიცრუეა (სამართლე რომ არ იყოს).

**მუშაობის დახრულება.** ახლად დაარსებულმა ქართველ მწერალთა კავშირის გამგეობამ დიდი ხანია დაასრულა თავისი მუშაობა (ალბად მიზანს მიაღწია).

**სწორი მიხამართი.** ამავე კავშირის წევრმა პლატონ დათუაშვილმა შეცდომით დასასვენებელ სახლში წასვლის მაგივრად თავისი მანდატით გამასწორებელ სახლში ამოჰყო თავი.

**ზუდიკვი.**




ყველა თქვენგანი უნდა იწერდეთ,
კითხულობდეთ და ავრცელებდეთ
თქვენს გაზ.
„მუშა"-ს
თვეში ორჯერ მას მოჰყვება
უფასოდ
„ტარტაროზი"
არ დარჩეთ სექტემბრისათვის
უგაზეთოდ
ხელისმოწერა კიდევ მიიღება სექტემბრისთვის
რედაქცია და კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 24.